ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 12

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნების" დაფუძნების ცნობად მიღების
შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 30-ე და 38-ე მუხლების „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 35-ე მუხლისა და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება" ამ დროიდან რეგისტრირებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება" შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან (18 წევრი):

1. ჯიშკარიანი შოთა
2. ნერგაძე სანდრო
3. ჩიხლაძე მანანა
4. გვეტაძე ბიქტორი
5. კოსტავა მაგდა
6. მხეიძე დიმიტრი
7. ბიბილეიშვილი ჯემალი
8. ჭიღვარია გიორგი
9. თამაზაშვილი ალეკო
10. გიორგაძე მიხეილი
11. ჩეჩელაშვილი ბესიკი
12. კოპალეიშვილი ამირანი
13. სარალიძე სალომე
14. ნიჟარაძე მარეხი

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. № 12
„3" 11 2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საქართველო

15. გვენეტაძე ლაშა

16. ფხაკაძე კობა

17. სინაურიძე მამუკა

18. იობაშვილი გიორგი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ არჩეულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, დიმიტრი მხეიძე, რომლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისა-თვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: შოთა ჯიშკარიანი, ბიქტორ გვეტაძე და ალეკო თამაზაშვილი, რომელთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია